

სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
VIII მოწვევის სტუდენტური თვითმმართველობის არჩევნების ჩატარების მიზნით შექმნილი
ცენტრალური საარჩევნო კომისიის სხდომის
ოქმი N3

2021 წლის 20 სექტემბერს თსუ-ს I კოპრუსის N202 აუდიტორიაში, 17:00 საათზე შეიკრიბა სტუდენტური თვითმმართველობის არჩევნების ჩატარების მიზნით შექმნილი ცენტრალური საარჩევნო კომისია

სხდომას ესწრებოდნენ:

თეა წითლანაძე, ვასილ ბარამიძე, მერი კაპანაძე, მიხეილ ჭილაძე, ცისანა გავაშელი, აკაკი მიქაბერიძე, ზვიად მურადაშვილი.

დღის წესრიგი:

1. თსუ-ის სასწავლო პროცესის მართვის დეპარტამენტების მიერ მიწოდებული ინფორმაციის საფუძველზე სტუდენტთა (ამომრჩეველთა) ერთიანი და საუბნო სიების განსაზღვრა.

ზვიად მურადაშვილმა კომისიას წარუდგინა თსუ-ის სასწავლო პროცესის მართვის დეპარტამენტების მიერ მიწოდებული აქტიური სტატუსის მქონე სტუდენტთა სია, რომლის მიხედვითაც უნდა განისაზღვროს ამომრჩეველთა ერთიანი და საუბნო სიები.

საკითხთან დაკავშირებით გაიმართა კენჭისყრა, რომელშიც მონაწილეობდა საარჩევნო კომისიის ყველა წევრი.

კენჭისყრის შედეგები:

გადაწყვეტილება მიღებულია ერთხმად.

დაადგინეს:

განისაზღვროს თსუ-ის სასწავლო პროცესის მართვის დეპარტამენტების მიერ მიწოდებული ინფორმაციის საფუძველზე სტუდენტთა (ამომრჩეველთა) ერთიანი და საუბნო სიები დანართის შესაბამისად.

2. კანდიდატთა რეგისტრაციის მიზნებისათვის მხარდამჭერ ამომრჩეველთა სავალდებულო მინიმალური რაოდენობის დადგენა დამოუკიდებელი კანდიდატებისა და სტუდენტური ორგანიზაციების რეგისტრაციასთან დაკავშირებით.

თეა წითლანაძემ კომისიას წარუდგინა ინფორმაცია კანდიდატთა რეგისტრაციის მიზნებისათვის მხარდამჭერ ამომრჩეველთა სავალდებულო მინიმალური რაოდენობის დადგენის მიზნით დამოუკიდებელი კანდიდატებისა და სტუდენტური ორგანიზაციების რეგისტრაციასთან დაკავშირებით.

საკითხთან დაკავშირებით გაიმართა კენჭისყრა, რომელშიც მონაწილეობდა საარჩევნო კომისიის ყველა წევრი.

კენჭისყრის შედეგები:

გადაწყვეტილება მიღებულია ერთხმად.

დაადგინეს:

დამტკიცდეს კანდიდატთა რეგისტრაციის მიზნებისათვის მხარდამჭერ ამომრჩეველთა სავალდებულო მინიმალური რაოდენობა დამოუკიდებელი კანდიდატებისა და სტუდენტური ორგანიზაციების რეგისტრაციასთან დაკავშირებით დანართის შესაბამისად.

3. დამოუკიდებელი კანდიდატისა და სტუდენტური ორგანიზაციის მხარდამჭერ ამომრჩეველთა აღრიცხვის დოკუმენტის ფორმის დადგენა.

თეა წითლანაძემ კომისიას წარუდგინა დამოუკიდებელი კანდიდატისა და სტუდენტური ორგანიზაციის მხარდამჭერ ამომრჩეველთა აღრიცხვის დოკუმენტის ფორმა.

საკითხთან დაკავშირებით გაიმართა კენჭისყრა, რომელშიც მონაწილეობდა საარჩევნო კომისიის ყველა წევრი.

კენჭისყრის შედეგები:

გადაწყვეტილება მიღებულია ერთხმად.

დაადგინეს:

დამტკიცდეს დამოუკიდებელი კანდიდატისა და სტუდენტური ორგანიზაციის მხარდამჭერ ამომრჩეველთა აღრიცხვის დოკუმენტის ფორმა დანართის შესაბამისად.

4. სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის VIII მოწვევის სტუდენტური თვითმმართველობის არჩევნების ჩატარების მიზნით საარჩევნო სუბიექტთა რეგისტრაციის ვადების განსაზღვრა.

ვასილ ბარამიძემ კომისიას მოახსენა, რომ საარჩევნო სუბიექტთა რეგისტრაცია ხორციელდება არანაკლებ 5 დღის ვადაში. საარჩევნო სუბიექტთა რეგისტრაცია მოიცავს ცესკოში დადგენილი წესით განცხადების თანდართული დოკუმენტაციით წარდგენას, ცესკოს მხრიდან განცხადების განხილვას, ხარვეზის არსებობის შემთხვევაში, ხარვეზის გამოსწორებისათვის გონივრული ვადის განსაზღვრას და შემდგომ რეგისტრაციას. რეგისტრაციაზე უარის შემთხვევაში, ცესკოს მხრიდან დაუყოვნებლივ საარჩევნო სუბიექტის ინფორმირება. აღნიშნულიდან გამომდინარე კომისიას შესთავაზა საარჩევნო სუბიექტთა რეგისტრაციის ვადად ა.წ. 22 სექტემბრიდან 28 სექტემბრის ჩათვლით პერიოდის განსაზღვრა.

საკითხთან დაკავშირებით გაიმართა კენჭისყრა, რომელშიც მონაწილეობდა საარჩევნო კომისიის ყველა წევრი.

კენჭისყრის შედეგები:

გადაწყვეტილება მიღებულია ერთხმად.

დაადგინეს:

სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის VIII მოწვევის სტუდენტური თვითმმართველობის არჩევნების ჩატარების მიზნით საარჩევნო სუბიექტთა რეგისტრაციის ვადად განისაზღვროს 2021 წლის 22 – 28 სექტემბრი.

5. სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის VIII მოწვევის სტუდენტური თვითმმართველობის არჩევნებზე დამკვირვებელ ორგანიზაციად რეგისტრაციის ვადის განსაზღვრა.

ვასილ ბარამიძემ კომისიას მოახსენა, რომ დამკვირვებელ ორგანიზაციას დადგენილი წესით, განცხადებისა და სანოტარო წესით დამოწმებული ორგანიზაციის წესდების ცესკოსათვის წარდგენა უნდა მოხდეს არჩევნებამდე არაუგვიანეს 5 დღისა. ვინაიდან არჩევნები დანიშნულია ა.წ. 12 ოქტომბერს რეგისტრაციის ბოლო ვადად უნდა განისაზღვროს 7 ოქტომბერი, ხოლო რეგისტრაცია მიზანშეწონილია დაიწყოს 22 სექტემბერს.

საკითხთან დაკავშირებით გაიმართა კენჭისყრა, რომელშიც მონაწილეობდა საარჩევნო კომისიის ყველა წევრი.

კენჭისყრის შედეგები:

გადაწყვეტილება მიღებულია ერთხმად.

დაადგინეს:

სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის VIII მოწვევის სტუდენტური თვითმმართველობის არჩევნებზე დამკვირვებელ ორგანიზაციად რეგისტრაციის ვადად განისაზღვროს 2021 წლის 22 სექტემბრიდან-7 ოქტომბრის ჩათვლით

6. სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის VIII მოწვევის სტუდენტური თვითმმართველობის არჩევნებზე დამკვირვებელთა და საარჩევნო სუბიექტთა მოწმობების ფორმების განსაზღვრა.

ვასილ ბარამიძემ კომისიას მოახსენა, რომ სტუდენტური თვითმმართველობის არჩევნებზე დამკვირვებელთა და საარჩევნო სუბიექტთა მოწმობების ფორმები შესაძლებელია განისაზღვროს შემდეგი მონაცემებით და დამოწმდეს ცენტრალური საარჩევნო კომისიის ბეჭდით: სახელი, გვარი, სტატუსი.

საკითხთან დაკავშირებით გაიმართა კენჭისყრა, რომელშიც მონაწილეობდა საარჩევნო კომისიის ყველა წევრი.

კენჭისყრის შედეგები:

გადაწყვეტილება მიღებულია ერთხმად.

დაადგინეს:

სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის VIII მოწვევის სტუდენტური თვითმმართველობის არჩევნებზე დამკვირვებელთა და საარჩევნო სუბიექტთა

მოწმობების ფორმები განისაზღვროს შემდეგი მონაცემებით და დამოწმდეს ცენტრალური საარჩევნო კომისიის ბეჭდით: სახელი, გვარი, სტატუსი.

თავმჯდომარე



თეა წითლანაძე

მდივანი



ზვიად მურადაშვილი